

უძრავი ქონების /ავტოსადგომი/ ქალაქ ქუთაისის თვითმმართველი ერთეულის  
საკუთრებად დარეგისტრირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულს საკუთრებაში გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე შემდეგი სახის ძირითადი ქონება: გზები, ხიდები, გვირაბები, ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წარდგენილი იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში თვითმმართველობის საკუთრებაში უძრავ ქონებად /ავტოსადგომი/ დარეგისტრირების შესახებ, რუსთაველის გამზ. N35-ის ჩრდილოეთით, ფართობით 100.0 კვ.მ. მდებარე ტერიტორია.
2. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურის ქონების რეგისტრაციის განყოფილების წამყვან სპეციალისტს თეიმურაზ ერამეს (პირადი N60001079086).
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს, ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარამემ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზ. N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია